ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №15
2024 წლის 22 ოქტომბერი

დაბა ხულო

„ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივლისის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივლისის№9 დადგენილების დანართში (www.matsne.gov.ge, 28/07/2023, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.136.016411) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. **დანართის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„5. აპარატის უფროსის არ ყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციას ასრულებს აპარატის უფროსის მოადგილე საკრებულოს თავმჯდომარის დავალებით, ხოლო აპარატის უფროსის მოადგილის არ ყოფნის შემთხვევაში - ერთ-ერთი განყოფილების უფროსი.“.

2. **დანართის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ე) აპარატის უფროსის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის ფუნქციებს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხულოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **რენარ ბოლქვაძე**